თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2243165

ნომერი: AR1348901

თარიღი : 13.10.2015

გაცემის თარიღი : 19.10.2015

გაცნობის თარიღი : 15.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ტიულენევის ქუჩა N11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან კუკავა პ/ნ 01007002524
- თბილისი ვ.ბაგრატიონის ქ. ბლოკი I კორ. 5 ბ. 35

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

შენობაზე პირველი კლასის სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, ტიულენევის ქუჩა №11-ში, შპს "ლეგი"-ს კუთვნილ შენობაზე სარეკლამო აბრის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015566491 08/10/2015 წ. საკადასტრო კოდი №01. 11.10.008.037, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, ტიულენევის ქუჩა №11-ში, შპს "ლეგი"-ს კუთვნილ შენობაზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ უზრუნველყოფილი იქნას სარეკლამო აბრის კონსტრუქციული მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.